



უსაფრთხო მსოფლიოს პრიზინტი: შეიარაღებული ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

მშვიდობა საქართველოში: რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად

30 სექტემბერი, 2008 წელი

სადისკუსიო ნაშრომი წარმოადგენს:

- აგვისტოს კონფლიქტის შესახებ დამოუკიდებელ ხედვას, რომელიც ასახავს მიმდინარე შეფასებებსა და დებატებს.
- მოსაზრებებს და შესაბამის მიდგომებს იმ ღონისძიებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მომავალში საქართველოსა და მთლიან რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
- განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვან წუხილებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მშვიდობის და უსაფრთხოების მისაღწევად.

ნაშრომში მოცემული მოსაზრებები ემყარება 27 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე საქართველოში ჩატარებული შემფასებელი მისიის მონაცემებს. შემფასებელი მისია გაეცნო საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო აქტორების მოსაზრებებს, ასევე, ჩაატარა დამატებითი კონსულტაციებიდან დაინტერესებულ პირებთან ლონდონში, ბრიუსელსა და თბილისში. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეღწევასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, უსაფრთხო მსოფლიომ ვერ შეაგროვა ამ რეგიონებში მცხოვრებთა შეხედულებები.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აშკარა გახადა საქართველოში კონფლიქტის მენეჯმენტისადმი არსებული მიდგომის შეცვლის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ნაშრომი გთავაზობთ სამ უმნიშვნელოვანეს სფეროს გრძელვადიანი მშვიდობის შესანარჩუნებლად:

1. წინასწარი გაფრთხილება და მზადყოფნა კონფლიქტისთვის;
2. მომავალ სამშვიდობო ინიციატივებში საერთაშორისო ჩართულობა;
3. მზარდი მონაწილეობა მშვიდობის შესანარჩუნებლად.

უსაფრთხო მსოფლიო დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ძალადობრივი კონფლიქტების თავიდან აცილებასა და უსაფრთხოების მისაღწევად თანამშრომლობის ხელშეწყობის საკითხებზე. ორგანიზაცია საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო აქტორებთან 2001 წლიდან თანამშრომლობს, მხარს უჭერს იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ რეგიონული და ეროვნული კონტროლის ინიციატივებს, ადამიანის უსაფრთხოებას და აუცილებელ კავშირს საერთაშორისო დახმარებასა და კონფლიქტს შორის.

კონფლიქტისადმი ახალი მიდგომები

საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა შექმნა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშაულებებისა და სამშვიდობო კურსის ცვლილების აუცილებლობა, როგორც კავკასიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის შედეგების შეფასება და გააზრება დროს მოითხოვს, არსებობს ამ კონფლიქტიდან გამომდინარე რიგი დასკვნები და საკითხები, რომლებიც როგორც დაუყოვნებლივ, ისევე გრძელვადიან ყურადღებას მოითხოვს. მოვლენებმა, რომლებმაც კრიზისამდე მიგვიყვანა და თავად კრიზისმაც, არა მხოლოდ დაპირისპირებული ჯგუფების პოლარიზება მოახდინა, არამედ დამატებით აიძულა ყველა აქტორი გადააფასოს კონფლიქტის მენეჯმენტის და საქართველოში კონფლიქტის მოგვარების საკუთარი ხედვა. ქვემოთ ჩამოთვლილი წინასწარი მოსაზრებები აღნიშნული გადაფასების მთავარი ნაწილია:

- სტაბილურობის დასაცავად მიმდინარე დიპლომატიური ძალისხმევის ზრდასთან ერთად, მშვიდობის შენარჩუნების და უსაფრთხოების ზომების დასაცავად ადეკვატური მიდგომის შემუშავების ამოცანა დადგა, რომელიც მგრძობიარე იქნება უსაფრთხოების გაძლიერების გრძელვადიან მიზნებთან.
- კრიზისის უშუალო შედეგებზე სწრაფი რეაგირების აუცილებლობასთან ერთად (განსაკუთრებით ეს ეხება მოქალაქეების დაცვას და ჰუმანიტარულ საჭიროებებს), მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მონაწილე მხარეების, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების, ქმედებებზე მომავალში მშვიდობის დასაცავად.
- განახლებული სამშვიდობო და უსაფრთხოების ჩარჩოს შექმნისას გაზრდილი კონფლიქტური არეალისთვის (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და მიმდებარე ტერიტორიები), მშვიდობის დამცველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ყოფილ, უკვე განვლილ სტატუს-ქვოსთან დაბრუნება შეუძლებელია, და ამის მაგივრად სჯობს კონფლიქტის ცალკეულ ასპექტებზე ადეკვატური რეაგირების ფორმები შეიმუშაონ.
- შესაბამისად, როცა ფოკუსი მომავალზეა, უნდა მოხდეს წარსული სამშვიდობო პროცესების სარწმუნო და ღია ანალიზი რათა მნიშვნელოვანი გაკვეთილები გრძელვადიან სამშვიდობო და სტაბილურობის გეგმებში გათვალისწინებული იყოს. ეს უნდა მოხდეს საქართველოში მშვიდობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მომუშავე ყველა მხარის კოლექტიური ძალისხმევით, ეს პროცესი უნდა ემყარებოდეს საერთო ცოდნას და მომავალი ქმედებებისთვის საერთო ხედვას.
- ყველა საერთაშორისო აქტორს, ასევე საქართველოს, აფხაზეთსა და ოსეთს, მეტნაკლები ბრალი მიუძღვით დაძაბულობის ესკალაციაში.
- კონფლიქტში შესრულებული ცენტრალური როლის გამო, რუსეთის მომავალი ქმედებები გადამწყვეტი ფაქტორი იქნება რეგიონში უსაფრთხოების და მშვიდობის დაცვის საქმეში. მიუხედავად ამისა, მშვიდობის შენარჩუნება საერთო პასუხისმგებლობაა ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო მოთამაშისთვის.
- გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ საქართველოში არსებული საერთაშორისო ინტერესები ამის საშუალებას მოგვცემს, მშვიდობიანი თანაარსებობის

დამყარების ტვირთი დააწვება საქართველოს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მხარეებს. ეს შორეული პერსპექტივაა. თუმცა ეს გრძელვადიანი პროცესია და ამ დროისთვის აღნიშნული მხარეები საკმაოდ დაშორდნენ ამ პერსპექტივას, უფრო მეტიც, შესაძლოა ითქვას, რომ უკანასკნელი მოვლენებით იმდენად ტრავმირებულნი არიან, რომ შიდა დებატები მშვიდობისკენ მიმავალი გზის შესახებ ჯერაც არ დაწყებულა.

მომდევნო პუნქტებში განმარტებულია გრძელვადიანი მშვიდობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები:

1. გაფრთხილების და კონფლიქტისთვის წინასწარი მზადყოფნის ასპექტები.

1.1. თვლელმა თუ უარყოფა?

აქტორების უმრავლესობა საკმაოდ გააკვირვებული ჩანდა იმით, თუ რა სწრაფად განვითარდა მოვლენები, წარმოიქმნა კონფლიქტი და მოხდა მისი ინტერნაციონალიზაცია. თუმცა, ეს გააკვირვება წინააღმდეგობაში მოდის 2006 წლის შუა თვეებიდან დაძაბულობის ესკალაციის აშკარა მაჩვენებლებთან, განსაკუთრებით კი კონფლიქტურ არეალში. ამ პერიოდის განმავლობაში იმდენად გაიზარდა სპორადული დაპირისპირებების სიხშირე და ინტენსივობა, რომ 2008 წელს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) დღეში ცეცხლის შეწყვეტის ოცამდე დარღვევას აფიქსირებდა, სადაც მაღალკალიბრიანი იარაღის მონაწილეობა დროთა განმავლობაში პროპორციულად იზრდებოდა. მიუხედავად ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო შეხედულებისა, ეს კონფლიქტი გაყინული კი არ იყო, არამედ, პირიქით, მომდევნო მოვლენებს დაუდო სათავე:

- 2006 წლის მაისიდან რეგიონში განლაგებული რუსული და ქართული ძალების შემადგენლობის ცვლილება, რამაც კიდევ უფრო მეტად დაძაბული გარემო შექმნა.
- სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დამატებითი, პარარეალური მმართველობების შექმნა.
- საქართველოს სოფლებში (საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული) და ოსურ სოფლებში (რუსეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული) ცალმხრივი სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება.
- ყველა მხარის მიერ სამხედრო დაპირისპირებისთვის მზადება.

სანამ ეუთო საკუთარ მანდატს ახორციელებდა მიმდინარე მოვლენების აღწერა-მოხსენების კუთხით, ეს ინდიკატორები ადეკვატურად არ იყო აღქმული საერთაშორისო მასშტაბით გადაწყვეტილების მიმღები პირების, მედიის ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ. შედეგად აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო საზოგადოება კონფლიქტის განვითარებადი დინამიკისადმი ადეკვატური არ აღმოჩნდა.

შოკუსი	კონფლიქტის	ინდიკატორებისადმი	ადეკვატურ	პასუხზე:
მნიშვნელოვანია კარგად გავიაროთ ის მიზეზები, რის გამოც მშვიდობის და კონფლიქტის ინდიკატორებმა ასახვა ვერ ჰპოვა საერთაშორისო ქმედებაში. მათ შორის უნდა შეფასდეს მოხსენებების, კომუნიკაციის და წინასწარი გაფრთხილების მექანიზმები, რათა დაგრწმუნდეთ რომ კონფლიქტის დინამიკის მონიტორინგი უფრო ყოველისმომცველი და გასაგებია, და რომ განვითარების ტენდენციები კარგად გააზრებული და ყველასთვის გასაგებია. ნებისმიერ ახალ				

მექანიზმში ჩართული უნდა იყოს საქართველოს, ოსეთის და აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების წამომადგენელი, პოლიტიკოსების მიერ პროცესების ერთპიროვნულად მართვის პოტენციური საფრთხის საპირწონედ. საქართველოს კონტექსტში მიღებული ნებისმიერი გაკვეთილი წინასწარი გაფრთხილების და მზადყოფნის დონის განსაზღვრის თვალსაზრისით, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნებში და რეგიონებში სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ კონფლიქტი გადაჭრილი არ არის.

ფოკუსი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე: კრიზისმა აჩვენა საქართველოს მთავრობის მდგრადობა საგარეო საფრთხისადმი, რაც გარკვეული ნუგეშია ქართველებისათვის, რადგან, საერთო ჯამში, სახელმწიფო ინსტიტუტები ფუნქციონირებას განაგრძობდნენ. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიციას. თუმცა, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს და წინასწარი ზომები იყოს მიღებული სახელმწიფო ინსტიტუტებზე მომავალი ზეწოლის, ასევე კონფლიქტური რეგიონების უშუალო მიმდებარე ტერიტორიაზე არასტაბილურობის პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, უცხოელი დამკვირვებლები ძალიან ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ საქართველო არ გადავიდეს ვერშემდგარი სახელმწიფოს რეალობაში, მომავალი ზამთრის თვეების განმავლობაში მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური ზეწოლის გამო. ასევე ყურადსაღებია, რომ აუცილებლად უნდა გაძლიერდეს კრიზისზე რეაგირების მექანიზმებიც, რათა ადეკვატური პასუხი გაეცეს უარყოფით პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

12. რეაგირება რეგიონალურ მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე რუსეთის როლმა საქართველოს კონფლიქტში აშკარა გავლენა მოახდინა ფართო რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, მათ შორის უკრაინაზე, მოლდოვეთზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე, რომელთაც გადახედეს თავიანთი ნაციონალური და რეგიონალური პოლიტიკური კურსების ქმედითუნარიანობას და მათში რუსეთის როლს. ამ გადაფასებას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამ ქვეყნების და რეგიონის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, მაგრამ სწორად გადაწყვეტილებების შემთხვევაში, შესაძლოა ასევე თავის თავში მოიცავდეს მშვიდობის დამყარების გარკვეულ შესაძლებლობებს. ამავე დროს, გაურკვევლობა გაძლიერდა რუსეთის როლთან მიმართებაში უფრო ფართო, საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით, იმის გათვალისწინებით, რომ ევრო-ატლანტიკური საზოგადოების რიგმა წევრებმა რუსეთის ქმედებებზე კონფრონტაციული მანერით უპასუხეს, რამაც შესაძლოა დაძაბულობის ესკალაცია გამოიწვიოს.

ფოკუსი რეგიონალური უსაფრთხოების მონიტორინგსა და რეგიონალური დიალოგისთვის ინკლუზიური პლატფორმის შესაქმნელად: მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად და მათი შემფოთების და შიშის პასუხად, პრიორიტეტული უნდა იყოს მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეგიონალური დიალოგის წახალისება და გაძლიერება. გარდა ამისა ხელი უნდა შეეწეოს რეგიონალური და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ფართოდ ჩართვას რეგიონალური ტენდენციების მონიტორინგში და მათი ზეგავლენის ზრდას, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონალურ დონეზე გატარებულ პოლიტიკაზე.

2. საერთაშორისო ჩართულობა მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების მომავალ ინიციატივებში

2.1 დაზარალებული საზოგადოების მშვიდობისთვის და უსაფრთხოებისთვის პირობების შექმნა

ავგისტოს კონფლიქტმა საქართველოს მასშტაბით დიდი საფრთხე შეუქმნა მშვიდობას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გაფართოებულ კონფლიქტურ ზონებში, სადაც ხშირია მოსახლეობის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები და მაროდობის ფაქტები, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი სახლები და ადგილები. თუმცა, სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეების დაბომბვის, რუსული სამხედრო ძალების მიერ დასავლეთ და ცენტრალურ საქართველოში ჩატარებული ოპერაციების და მათი საქართველოში დიდხანს დარჩენის შედეგად, დაუცველობის გრძობამ მთელი საქართველო მოიცვა.

შედეგად, აუცილებელია ახალი სამშვიდობო და უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს წინა მისიების ჩატარებულ სამუშაოს და ახალ კონტექსტს, მათ შორის უსაფრთხოების მოთხოვნებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. 1992 და 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებებმა დაკარგეს ლეგიტიმურობა და ფრაგმენტული აღმოჩნდნენ. მართლაც, სხვადასხვა მშვიდობის მყოფელების და უსაფრთხოების ელემენტების ინსტრუმენტების და ქმედებების ფრაგმენტულობა, დაუკავშირებელმა ხასიათმა თავისი წვლილი შეიტანა კონფლიქტის ესკალაციის საქმეში. არსებული მექანიზმები, არსებული სახით, შეუფერებელი ჩანს მშვიდობის და უსაფრთხოების დასაცავად.

ახალი მექანიზმების შესაქმნელად ახალი სქემა შეიქმნა.¹ თუმცა კონფლიქტურ ზონებში მისი სამომავლო მანდატი, კომპეტენცია და რესურსები ჯერჯერობით კვლავ უცნობია და უკვე შეიცავს რამდენიმე ისეთ ელემენტს, რომელიც ერთმანეთთან ნათლად დაკავშირებული არ არის:

- ევროკავშირის მონიტორთა მისია საქართველოში (EUMM Georgia);
- ეუთოს მისია;
- გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG);
- რუსული სამხედრო ძალების ყოფნა;
- ნებისმიერი სამომავლო შერეული სამშვიდობო ძალების (JPKF) ფორმატი; და
- ქართული, სამხრეთ ოსური და აფხაზური უსაფრთხოების მექანიზმების მოქმედება შესაბამის საკონტროლო ზონებში.

საერთო ჯამში, გაურკვეველობამ, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეს განსხვავებული ელემენტები, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მშვიდობას და უსაფრთხოებას და მის უნარს ემსახუროს დაზარალებული მოსახლეობის და საზოგადოებების მოთხოვნილებებს.

ფოკუსი საფრთხილო და უსაფრთხოების სამომავლო სტრუქტურის განვითარებაზე: ყველა მონაწილე მხარის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო და უსაფრთხოების იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც:

- ლეგიტიმურია;
- უზრუნველყოფს, რომ აღარ მოხდება ძალადობის განახლება;

¹ ევროკავშირმა გამოთქვა თანხმობა 200 დამკვირვებელი ჩამოიყვანოს 1 ოქტომბერს და რუსეთმა განაცხადა, რომ დამკვირვებელთა ჩამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში იგი გაიყვანს რუსულ სამხედრო ნაწილებს საქართველოს ტერიტორიიდან (გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებისა). გაურკვეველია რამდენად იქნება დაცული ეს გრაფიკი.

- აკმაყოფილებს დაზარალებული მოსახლეობის და საზოგადოებების უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- აცნობიერებს განსხვავებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონტექსტებს შორის; და
- უზრუნველყოფს უფრო ფართო და ხანგრძლივი სამშვიდობო პროცესისათვის ხელისშემწყობი გარემოს შექმნას.

მნიშვნელოვანია, რომ გადასინჯული სტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტებმა შეადგინოს ინტეგრირებული მექანიზმი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, რომელიც გასაგები და მისაღებია ყველა მონაწილე მხარისა და საზოგადოებისთვის. კერძოდ, მშვიდობის დაცვის ნებისმიერმა ახალმა მცდელობამ არ უნდა გააძლიეროს ისედაც გაზრდილი პოლარიზაცია დაყოფილ ჯგუფებს შორის, რომელიც ამას წინათ მომხდარი კონფლიქტის შედეგია. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი უნარებისა და მომზადების დონე, ვინც ჩართულია განსხვავებულ ელემენტებში, მათ შორის, მაგალითად, ევროკავშირის მონიტორთა მისია საქართველოში.

2.2 დარწმუნება იმაში, რომ მიმდინარე ჰუმანიტარული და სამომავლო რეგენერაციის ზომები კონტექსტთან მგრძობიარეა

კონფლიქტს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა მოსახლეობასა და საზოგადოებებზე სამხრეთ ოსეთიდან და გარეშემო ტერიტორიებიდან და შედარებით ნაკლებ მასშტაბებში კოდორის ხეობიდან, გალიდან და აფხაზეთის მოსაზღვრე ზონებიდან. მრავალი ადამიანი დაიღუპა ან იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მონიტორთა მისია ჩამოვა საქართველოში და რუსეთის სამხედრო ძალები დატოვებენ საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს კონფლიქტურ ზონებს გარეთ, ცნობილია, რომ პრიორიტეტი გახდება ქართველი და ოსი იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება ამ ზონებში.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების დინამიკაზე ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტების და საგარეო დახმარების გავლენამ წუხილები ჯერ კიდევ გვისტოს კონფლიქტამდე აღძრა, თუმცა მათი ადეკვატურად გათვალისწინება არ მომხდარა. დღეისათვის შესამჩნევი რესურსების მობილიზება უკვე მოხდა და კიდევ დამატებითი რესურსების მობილიზებაა გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად, რის გამოც აუცილებელია წარსული გამოცდილების გათვალისწინება.

ფოკუსი დაბრუნებასა და უბრუნებაზე კონფლიქტურ ზონებში: დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროცესი უნდა დაიგეგმოს და სარგებლობდეს ყველა აქტორის ერთობლივი მხარდაჭერით, რათა ამ პროცესში ჩარევამ არ განაპირობოს ხალხის კიდევ უფრო პოლარიზება და არ შექმნას მომავალი არასტაბილურობის საფუძვლები. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საქმიანობებზე:

- დაზარალებული მოსახლეობის და ადგილობრივი საზოგადოებების მონაწილეობის უზრუნველყოფა მათივე ზონებში სამშვიდობო და უსაფრთხოების მექანიზმების ფორმირების პროცესში;
- დაპირისპირების გადასაჭრელი მექანიზმების მოძიება;
- დაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების განახლების შესაძლებლობა;

- საპოლიციო და სასამართლო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით კავშირების აღდგენა მომავალში გრძელვადიანი თანამშრომლობის მისაღწევად;
- წარსული გამოცდილების გათვალისწინება, რათა მოხდეს სამომავლო დახმარებისა დიზაინი და იმპლემენტაცია, მათ შორის კონფლიქტის შეფასების გადაუდებელი ამოცანის გადაჭრა მგრძობიარე დაგეგმვის განხორციელების მიზნით.

ფოკუსი კონფლიქტის მიერ დაზარალებული საზოგადოების მიმართ ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაზე: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში არსებული პოლიტიკა (რომლებიც ამჟამად მთელი მოსახლეობის 10% შეადგენენ) და განსაკუთრებით 1992 და 1994 წლებში და შემდგომ იძულებით გადაადგილებული პირები არ უნდა იყოს განხილული ამ ბოლო კრიზისისაგან დამოუკიდებლად. დღეს არსებულ მიდგომას, რომელიც განსხვავებულად განიხილავს ახალ და ძველ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ძალუძს შექმნას დაძაბულობა თუ არა კონფლიქტი, მაშინ როცა საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მისი მრავალფეროვანი მოსახლეობის სტაბილურობაზე, როგორც მშვიდობის მიღწევის გრძელვადიან სტრატეგიაზე.

2.3 მშვიდობის აღდგენის პროცესის დაკავშირება მშვიდობის მიღწევის პოლიტიკურ ჩარჩოსთან

საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველოში მშვიდობის დაცვისა და ორივე კონფლიქტის ხანგრძლივი გადაწყვეტისთვის არაერთი ფორმალური და არაფორმალური პროცესი დანერგა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ერთობლივი მოლაპრაკებების ფორმატი იქნა შემუშავებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებზე დაყრდნობით. ეუთომ ითამაშა როლი სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გადაჭრაში, მაშინ როცა გაეროს დამკვირვებელთა მისიამ მსგავსი როლი შეასრულა აფხაზეთში. დამატებით, ასევე ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული სამეზობლო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბოლო წლებში ევროკავშირი კონფლიქტების გადაჭრის მიზნით უფრო ჩაერთო აღნიშნულ პროცესში. არაერთმა აქტორმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამ ფორმალური მექანიზმების წარსული ეფექტიანობა, რომელმაც ზოგიერთი აქტორისთვის უკვე დაკარგა ლეგიტიმურობა და შესაბამისობა დღევანდელი კონტექსტთან საქართველოსა და რეგიონში.

ამავდროულად, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული არაფორმალური მცდელობებით, რათა შეექმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობდა კონფლიქტების მოგვარებას დიალოგის წახალისებით, გამოცდილების ურთიერთგაცვლით და კონფლიქტურ მხარეებს შორის ერთიანი პროექტების განხორციელებით. ხშირ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობის მქონე ეს მიდგომა სათანადოდ გაგებული არ იყო, ხორციელდებოდა შეზღუდულ გარემო-პირობებში და ამ ეტაპზე, ბოლო კრიზისის გამო, სხვადასხვა აქტორების მხრიდან გადასინჯვის პროცესშია.

ფოკუსი მშვიდობის აღდგენის პროცესის გაუმჯობესების ერთიან მიმართულებებზე: ყველა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო აქტორმა, რომელიც ჩართულია საქართველოში მშვიდობის მიღწევის ხელშეწყობაში, კოლექტიურად უნდა გადახედოს იმ მშვიდობის მიღწევის ფორმატს, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ და უნდა შეაფასონ, რამდენად ჯდება მასში სხვა ტიპის აქტივობები. არსებითია, რომ ამ აქტორებმა არსებული მიდგომების წარმატებები და შეზღუდვები გაითვალისწინონ და შეთანხმდნენ მომავალ ფორმაზე, რომელიც

ახლად შექმნილი კონტექსტის რელევანტური იქნება. ამ პროცესმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს რამდენად არის კავშირები ფორმალურ და არაფორმალურ მიდგომებს შორის უკეთესად ჩამოყალიბებული.

2.4 საქართველოს შიდა რეფორმების და რეგიონული მშვიდობის ერთმანეთთან დაკავშირება

საერთაშორისო საზოგადოებამ არსებითი მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტამდე წინა წლებში, ძირითადად საქართველოს სურვილის გამო, რომ შეექმნა დასავლურ პრინციპებზე ორიენტირებული სახელმწიფო. ამ მხარდაჭერას სხვადასხვა სახე ჰქონდა, მათ შორის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, სამხედრო გადამზადება და აღჭურვა, კომერციული და საბანკო განვითარება და დემოკრატიზაცია (რომელიც მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერასაც მოიცავდა).

მაშინ როცა ეს მხარდაჭერა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების არსებით მხარეს წარმოადგენდა, საერთაშორისო საზოგადოება უნდა იყოს მგრძობიარე მის პოტენციურად პოზიტიურ როლთან მიმართებაში საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების პასუხზე იმ გამოწვევებისადმი, რომელიც შეიქმნა კონფლიქტიდან გამომდინარე. კონკრეტულად კი, არსებობს განცდა, რომ საერთაშორისო ინტერესი კონფლიქტის აღმოსავლეთ/დასავლური განზომილებისა გადაფარავს აუცილებელ შიდა გარემოებათა მიმართ ინტერესს და რეფორმებს, რომელიც გავლენას მოახდენს გრძელვადიან მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.

ფოკუსი საქართველოს დემოკრატიული კულტურის გაძლიერებაზე: დონორმა სახელმწიფოებმა და ინსტიტუტებმა უკვე გამოყვეს არსებითი დახმარება პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში საქართველოს მხარდასაჭერად. იმ საერთაშორისო აქტორებმა, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს ექსპლიციტურად უნდა წარმოაჩინონ კავშირები მულტინაციონალური და და ორმხრივი ინსტიტუტების მიერ საქართველოსადმი აღმოჩენილ დახმარებას, საქართველოს შიდა რეფორმების პროგრამასა და და მშვიდობის ძიების ზოგად მიზანთან. კონკრეტულად კი, ყურადღება უნდა დაუთმონ იმაში დარწმუნებას, რომ პოსტ-კონფლიქტური განვითარების დახმარება ხელს უწყობს საქართველოს დემოკრატიული კულტურის გაძლიერებას და გაღრმავებას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. განსაკუთრებულად გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმას – მაგალითად, დარწმუნებას იმაში, რომ წვრთნისა და აღჭურვის აუცილებლობა გარკვეულწილად დაბალანსებულია ეფექტური მმართველობის და საზოგადოების ამ პროცესში ჩართვის მოთხოვნისგან. საერთაშორისო დახმარების მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიული მიზანი უნდა აისახოს დამფინანსებელ ინსტრუმენტებში და უნდა დადგინდეს მკაფიო კრიტერიუმი, რომელის პრიორიტეტულობის, თანმიმდევრობის და რითმის განსაზღვრა მოხდება რეგიონალური მშვიდობის და უსაფრთხოების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

3. მზარდი მონაწილეობა მშვიდობის დამყარებაში.

3.1 ერთნაირი უსაფრთხოების და რეგიონალური მშვიდობის შესახებ მომავალ ხედევაში საჯარო მონაწილეობის და განსჯის ხვედრითი წილის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელი ყურადღება ფოკუსირებულია ორ სადავო ტერიტორიასა და მათ სამომავლო სტატუსთან დაკავშირებულ რუსულ

პოლიტიკაზე, მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი ქართველებს, ოსებს და აფხაზებს (ასევე სხვა ეთნიკურ უმცირესობებს) შორის. აგვისტოს მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული მხარის შეხედულებები კონფლიქტის და მშვიდობის დამყარების შესახებ და წარმოშვა ახალი კითხვები მშვიდობის მიღწევასთან დაკავშირებით. ძირითადად, ქართული მხარე თანხმდება, რომ კონფლიქტების მოსაგვარებლად არასოდეს იქნება გამოყენებული ძალა, თუმცა დისკუსიისთვის აუცილებელი სივრცე ჯერ კიდევ არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო საქართველოს წინაშე არსებული რისკები და არჩევანი კარგად არის გაგებულ მოსახლეობის მიერ,, არსებობს მზარდი შეგრძნება იმისა, რომ ქვეყანამ უნდა მაქსიმალურად შეამციროს გარეშე ძალების გავლენა, რასაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ოსებისა და აფხაზების, სხვა ეთნიკური ჯგუფების და უშუალო მეზობლების მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ ურთიერთგაზიარებული ხედვის ჩამოყალიბება. საქართველოს შიგნით დებატების მიმდინარეობის შესაძლებლობა და მომავლის საერთო ხედვის შემუშავება მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გამო:

ფოკუსი ინფორმირებული დებატებისათვის საჭირო სივრცის უზრუნველყოფაზე: ცნობილია, რომ სახელმწიფო კრიზისის დროს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთობები სტრესულია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას და მის ლიდერებს მიეცემა საკმარისი სივრცე, რათა ჩაებას დებატებში ქვეყანაში წარსული პოლიტიკის და გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების მომავალი პრინციპების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შორის დებატებში მონაწილეობის შესახებ სურვილი აშკარაა. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ითამაშოს წამყვანი როლი ყოვლისმომცველი დიალოგის მექანიზმის შექმნაში და იგი განიხილოს როგორც პოზიტიური პროცესი და არა როგორც საფრთხე. ინფორმაციული და პროდუქტიული დებატები ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული განვითარებისათვის. ეს მოიცავს სასამართლო სისტემის თავისუფლებას და მაღალ პროფესიონალიზმს; ქართული საპარლამენტო კულტურის ზრდას ოპოზიციური პარტიების პოზიტიურ და სტრუქტურულ წვლილს; და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებას.

ფოკუსი წარმომადგენლობითი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და დებატების გაძლიერებაზე: მნიშვნელოვანია გაძლიერდეს მრავალფეროვანი და წარმომადგენლობითი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ხელი მიუწვდება და აქვს შესაძლებლობა მოახდინოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობა. სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ მხარდაჭერილი დიალოგით შესაძლებელია ქვეყანაში არსებული კონფლიქტის და არასტაბილურობის სხვა წყაროების აღმოჩენა, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაცია, ადგილობრივი დავების და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. ამ საკითხების გათვალისწინების გარეშე ქართულ საზოგადოებას გაუჭირდება პროგრესის მიღწევა ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

ფოკუსი სანდო ინფორმაციის მიწოდებაზე: მოსახლეობას სულ უფრო სურს ხელი მიუწვდებოდეს კონფლიქტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. ინტერვიუების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიხნევა, რომ აუცილებელია სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3.2. მედიის გავლენა და მიმდინარე კრიზისის შესახებ არსებულ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მედიის ხარისხსა და დივერსიფიცირებულობას მიმდინარე კრიზისზე მედიის უარყოფითი გავლენის ფონზე. რეგიონის წამყვანი მედია საშუალებები ამკვიდრებენ დაუდასტურებელ სტერეოტიპებს და ავრცელებენ ემოციურ და წამაქეზებელ მოსაზრებებს. საერთაშორისო მედია საშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ არის ერთნაირი და აკლია კონტექსტუალური საფუძველი, რაც აუცილებელია მოვლენების არსის სწორად გაგებისათვის. საქართველოს რამდენიმე მოქალაქის მიერ მედია საშუალებების თავისუფლების ზრდის, დივერსიფიკაციის და ქვეყნის მასშტაბით მათ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნა მიუთითებს, რომ კონფლიქტის დროს და მის შემდეგ ინფორმაციის მოპოვება იყო შეზღუდული. საქართველოს ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლისთვის, რომელიც ენობრივი მიზეზების გამო ინფორმაციას იღებდა უცხოური მედია საშუალებებით (ამ შემთხვევაში რუსულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით) ვითარება იყო გაურკვეველი. შედეგად, საქართველოს უფრო და უფრო მეტი მოქალაქე საუბრობს სრულად კონტროლირებადი მედიის უარყოფით მხარეებზე, რის გამოც შეუძლებელი იყო უფრო მიუკერძოებლად მოვლენების შეფასება.

ფოკუსი მედიის კონფლიქტზე ორიენტირების წახალისებაზე: საქართველოში არსებული ჟურნალისტურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით აუცილებელია დაიგეგმოს მთელი რიგი ქმედებები მედიის მიერ უფრო პოზიტიური როლის შესრულებისათვის. აუცილებელია წახალისდეს მიუკერძოებელი რეპორტაჟები, რაც დაფუძნებული იქნება კონფლიქტის პრიციპებზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე. აუცილებელია მედია საშუალებების თავისუფლების მაღალი ხარისხი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ხელმისაწვდომობისათვის.